სამოსამართლო გამოცდილების არმქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის ჯვებე ნაჭყებიას შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	23	25
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	23	25
წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი	18	20
პროფესიული თვისებები	14	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	6	10
პროფესიული აქტივობა	2	5
ქულათა ჯამი	86	100

გიორგი გზობავა

თარიღი : 06.12.2024 წ

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

გიორგი გზობავა

„6“ დეკემბერი, 2024 წელი **თბილისი**

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრმა გიორგი გზობავამ, მივიღე რა მონაწილეობა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 17 ოქტომბრის №1/115 განკარგულებით დაწყებულ, საქართველოს რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლეობის კანდიდატთა შერჩევის პროცედურაში, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, მოვახდინე კონკურსში მონაწილე კანდიდატის - **ჯვებე ნაჭყებიას**

შ ე ფ ა ს ე ბ ა

1. შეფასების პროცედურის შესახებ:

- საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 17 ოქტომბრის №1/115 განკარგულებით, ჩატარდა საქართველოს რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლეთა 38 ვაკანტურ თანამდებობაზე განწესების მსურველ კანდიდატთა შერჩევის პროცედურა.

- იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 15 ნოემბრის №1/119 განკარგულების შესაბამისად, მოსამართლეობის კანდიდატების შერჩევის პროცედურაში მონაწილეობის მიღების მიზნით, დარეგისტრირდა **ჯვებე ნაჭყებია.**

- იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისმა სამსახურმა, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34^2 მუხლით დადგენილი წესით, მოიპოვა და წარმოუდგინა საბჭოს ინფორმაცია შესაბამისი კანდიდატის შესახებ, რომელსაც გავეცანი დეტალურად.

- „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-8 და მე-10 პუნქტებით დადგენილი წესით, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ 2024 წლის 3 დეკემბერს, ჩემი მონაწილეობით, ჩატარდა კანდიდატის - **ჯვებე ნაჭყებიას** საჯარო მოსმენა.

- საჯარო მოსმენის დასრულების შემდეგ, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით, ,,კანდიდატი“, როგორც სამოსამართლო გამოცდილების არმქონე კანდიდატი, შევაფასე - ამავე ორგანული კანონის 35^1 მუხლის მე-15-მე-16 პუნქტების შესაბამისად.

1. კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, **ჯვებე ნაჭყებია** გამოირჩევა კეთილსინდისიერებით, კომპეტენტურობით, შრომისმოყვარეობით, კომუნიკაბელურობით, სამართლიანობით და ორგანიზებულობით. მას სწორად აქვს გაანალიზებული მისთვის დაკისრებული პასუხისმგებლობა და ფინანსურ ვალდებულებებს (ქონებრივი დეკლარაციის შევსება, ბანკის ან სხვა ვალის გადახდა, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის ჯარიმის გადახდა და სხვ.) ასრულებს ჯეროვნად. ამასთან, კანდიდატის პირად თვისებებს და პროფესიულ საქმიანობას - გამოკითხული რეკომენდატორები და მასთან სამსახურეობრივ თუ პირად ურთიერთობაში მყოფი პირები აფასებენ დადებითად.

წარმოდგენილი მასალებიდან ირკვევა, რომ საანგარიშო პერიოდში, **ჯვებე ნაჭყებიას** უფიქსირდება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ორი ფაქტი, დაკისრებული სანქციები (ჯარიმები) გადახდილია დროულად.

შესწავლილი დოკუმენტაციის შესაბამისად, არ იკვეთება რაიმე სახის შეუსაბამობა ან წინააღმდეგობა კანდიდატის ქონებრივ მდგომარეობას, მის შემოსავლებს და ვალდებულებებს შორის, რამაც შეიძლება გამოიწვიოს წინააღმდეგობა მოსამართლეობის კანდიდატის ინტერესებსა და მართლმსაჯულების ინტერესებს შორის.

<u>დასკვნა:</u> ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან კანდიდატი აკმაყოფილებს „საერთო სასამართლოების შესახებ" ორგანული კანონით განსაზღვრულ ყველა კრიტერიუმს, მიმაჩნია, რომ წარმოდგენილი კანდიდატი - **ჯვებე ნაჭყებია <u>სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.</u>**

2. კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით

2.1. სამართლის ნორმების ცოდნა

ჯვებე ნაჭყებია არის იუსტიციის უმაღლესი სკოლის XVIII ჯგუფის მსმენელი:

- მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდაში მიღებული ქულებია - 85/17.
- რიგითი ნომერი ჯგუფის საკვალიფიკაციო სიაში - 5.

დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით - *„სისხლის სამართალში* - ჯვებე ნაჭყებიას აქვს სამართლებრივი ანალიზის შესანიშნავი უნარი, არგუმენტირებული და დახვეწილი სამართლებრივი მსჯელობა. მას ადვილად შეუძლია სამართლებრივი არგუმენტების მოძიება, მათი ერთმანეთთან სწორად დაკავშირება და შესაბამისი დასკვნის გამოტანა. შესაფასებელ პირს აქვს სამართლებრივი ანალიზის კარგი უნარი. მიღებულ თეორიულ ცოდნას სათანადოდ იყენებს პრაქტიკაში. შეუძლია სამართლებრივი არგუმენტების მოძიება, მათი ერთმანეთთან სწორად მისადაგება და შესაბამისი დასკვნების გამოტანა. მის მიერ მომზადებული გადაწყვეტილებების პროექტები სწორად და თანმიმდევრულად იყო ჩამოყალიბებული. *ადმინისტრაციულ სამართალში* - ჯვებე ნაჭყებიას მიღებული აქვს ძალიან კარგი თეორიული ცოდნა, რომელიც სტაჟირების პერიოდში გაამყარა. მიღებული ცოდნა და გამოცდილება მას

აძლევს შესაძლებლობას პრაქტიკაში მოახდინოს მათი სრული რეალიზება. აქვს სამართლებრივი ანალიზის კარგი უნარი არგუმენტირებული და დახვეწილი სამართლებრივი მსჯელობა, შეუძლია სამართლებრივი არგუმენტების მოძიება, მათი ერთმანეთთან სწორად დაკავშირება და შესაბამისი დასკვნის გამოტანა, მის მიერ მომზადებული გადაწყვეტილებების პროექტები წერილობით სწორად და თანმიმდევრულად არის ჩამოყალიბებული. *სამოქალაქო სამართალში* - ჯვებე ნაჭყებიას გააჩნია მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების კარგი უნარი. შეუძლია საქმისთვის მნიშვნელოვანი გარემოებების გამოყოფა და ობიექტურად შეფასება. საკუთარ პოზიციას ასაბუთებს არგუმენტირებულად. არის მიზანმიმართული და თანმიმდევრული, გაწონასწორებული და კოლეგიალური. ადმინისტრაციული სამართლისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური საკითხების გამო, რეკომენდირებულია ამ მიმართულებით იმუშაოს ადმინისტრაციული სამართლის დარგში მიღებული გადაწყვეტილებების გაცნობა/შესწავლისა და გადაწყვეტილების წერის უნარის განვითარებაზე. რეკომენდებულია მან იზრუნოს სემინარული მუშაობისას დაშვებული მცირე შეცდომების გამოსწორებაზე და წერილობითი უნარების უფრო მეტად განვითარებაზე."

ჯვებე ნაჭყებიასთან გამართული საჯარო მოსმენის შედეგად, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ იგი სისხლის სამართლის მიმართულებით ფლობს მატერიალურ და საპროცესო კანონმდებლობას. აქტიურად ეცნობა უზენაესი სასამართლოს და საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებს. კანდიდატი სწორად იყენებს და აანალიზებს სამართლებრივ ნორმებს.

<u>დასკვნა:</u> კომპეტენტურობის კრიტერიუმით (სამართლის ნორმების ცოდნა) შეფასებისას მიმაჩნია, რომ **ჯვებე ნაჭყებია** უნდა შეფასდეს 23 ქულით (მაქსიმალური ქულა 25)

<u>2.2. სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია</u>

სამართლებრივი დასაბუთების უნარისა და კომპეტენციის მახასიათებლით შეფასებისას უნდა ითქვას, რომ კანდიდატს აქვს პროფესიით მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება და გამოკითხული რეკომენდატორებისა და მასთან სამსახურეობრივ თუ პირად ურთიერთობაში მყოფი პირების მიერ შევსებული კითხვარებიდან და რეკომენდაციებიდან გამომდინარე, მას კარგად აქვს განვითარებული კოგნიტური უნარები, რაც გამოიხატება პრობლემის გადაჭის, განსჯის და კრიტიკული აზროვნების უნარებში, სწორი ლოგიკური დასკვნების გამოტანასა და გადაწყვეტილებების მიღებაში.

კანდიდატს შეუძლია მარტივად და გასაგებად განმარტოს კანონები და კომპეტენტურად ისაუბროს სმართლის თითქმის ყველა სფეროს ირგვლივ. საჯარო მოსმენაზე დასმულ შეკითხვებს უმეტესწილად პასუხობდა სწორად, გასაგებად და საგნობრივად.

<u>დასკვნა:</u> სამართლებრივი დასაბუთების და კომპეტენციის კრიტერიუმით შეფასებისას მიმაჩნია, რომ **ჯვებე ნაჭყებია** უნდა შეფასდეს 23 ქულით (მაქსიმალური ქულა 25).

<u>2.3. წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი</u>

ჯვებე ნაჭყებიას გააჩნია ლოგიკური მსჯელობისა და ანალიზის უნარი. კანდიდატი გასაუბრებისას მშვიდად და დამაჯერებლად პასუხობდა საბჭოს წევრების მიერ დასმულ

შეკითხვებს, კვალიფიციურად ასაბუთებდა საკუთარ პოზიციას, ნათლად და გასაგებად გადმოსცემდა საკუთარ შეხედულებებს.

კანდიდატს არ წარმოუდგენია სამართლებრივი პუბლიკაცია ან ნაშრომი. იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით - **ჯვებე ნაჭყებიას** მიერ მომზადებული გადაწყვეტილებების/საპროცესო დოკუმენტების პროექტები შინაარსობრივი თვალსაზრისით, სწორად და გასაგები ენითაა გადმოცემული და არ საჭიროებდა ტექნიკურ კორექტირებას. წერს გამართულად სტილისტურად და გრამატიკულად უშეცდომოდ. გადაწყვეტილებაში წარმოდგენილი დასაბუთება ნათელი და გასაგებია როგორც დარგის სპეციალისტისათვის, ისე ჩვეულებრივი მკითხველისათვის. ჯვებე ნაჭყებიამ ზეპირი კომუნიკაციისას გამოავლინა აზრის მწყობრად, საქმის ძირითადი საკითხების ლაკონიურად გადმოცემის უნარი. საუბრისას ამომწურავად და გასაგებად გადმოსცემს აზრს. აქვს კომუნიკაციის ძალიან კარგი უნარი, რის გამოც შეუძლია თავისუფლად დასვას შეკითხვა მისთვის საინტერესო თემაზე, განავითაროს მსჯელობა და ღიად დააფიქსიროს მოსაზრება. იგი ზეპირად ამომწურავად გადმოსცემს აზრს და შემდეგ მოკლე შეჯამებას ასახავს წერილობით. მის მიერ მომზადებული პროექტები დასაბუთებული, ლოგიკური და გასაგებია.

<u>დასკვნა:</u> წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარის კრიტერიუმით შეფასებისას მიმაჩნია, რომ **ჯვებე ნაჭყებია** უნდა შეფასდეს 18 ქულით (მაქსიმალური ქულა 20).

<u>2.4. პროფესიული თვისებები</u>

რეკომენდატორებისა და მასთან სამსახურეობრივი თუ პირად ურთიერთობაში მყოფი პირების მიერ შევსებული კითხვარებიდან გამომდინარე, კანდიდატი არის პუნქტუალური და შრომისმოყვარე, თავს კარგად ართმევს სტრესულ სიტუაციაში მუშაობას, ყოველთვის ორიენტირებულია თავისი პროფესიული მოვალეობების ხარისხიანად და მაღალკვალიფიციურად შესრულებაზე.

<u>დასკვნა:</u> პროფესიული თვისებების კრიტერიუმით შეფასებისას მიმაჩნია, რომ **ჯვებე ნაჭყებია** უნდა შეფასდეს 14 ქულით (მაქსიმალური ქულა 15).

<u>2.5. აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა</u>

ჯვებე ნაჭყებიას აქვს თვითგანვითარების უნარი, საოფისე კულტურა, ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის ინტერესი.

კანდიდატი არ ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას.

ჯვებე ნაჭყებიას ჩაბარებული აქვს მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდა, სისხლის სამართლის სპეციალიზაციით; მან წარმატებით გაიარა დისტანციური კურსი თემაზე „ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტები (სისხლისსამართლებრივი ასპექტები).“

<u>დასკვნა:</u> აკადემიური მიღწევების და პროფესიული წვრთნის კრიტერიუმით შეფასებისას მიმაჩნია, რომ **ჯვებე ნაჭყებია** უნდა შეფასდეს 6 ქულით (მაქსიმალური ქულა 10).

<u>2.6. პროფესიული აქტივობა</u>

მოცემული კრიტერიუმებით **ჯვებე ნაჭყებიას** შეფასებისას, აღსანიშნავია, რომ კანდიდატს გააჩნია პროფესიული ზრდის სურვილი, ახალი ცოდნის შეძენისა და მისი პრაქტიკაში გამოყენების მიზნით იგი აქტიურად იღებს მონაწილეობას სხვადასხვა ტრენინგსა და სასწავლო კურსში.

<u>ჯვებე ნაჭყებიამ მონაწილეობა მიიღო შემდეგ ღონისძიებებში:</u>

- მიგრაციასთან დაკავშირებული საკითხები - იუსტიციის უმაღლესი სკოლა, 2018 წელი;
- სქესობრივი დანაშაული - იუსტიციის უმაღლესი სკოლა, 2022 წელი და სხვა.

<u>დასკვნა:</u> პროფესიული აქტივობის კრიტერიუმით შეფასებისას მიმაჩნია, რომ **ჯვებე ნაჭყებია** უნდა შეფასდეს 2 ქულით (მაქსიმალური ქულა 5).

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ კანდიდატი **ჯვებე ნაჭყებია <u>სრულად აკმაყოფილებს „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონით დადგენილ კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის კრიტერიუმებს</u>**, მისი შეფასების შედეგად, საერთო ქულათა რაოდენობამ შეადგინა 86 (ოთხმოცდა ექვსი) ქულა.

გიორგი გზობავა

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი